ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5229307

ნომერი: AR1791063

თარიღი : 27.11.2020

გაცემის თარიღი : 18.12.2020

გაცნობის თარიღი : 18.12.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , II დოლაბაურის ხევი , N 35 ; ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე , წერნაკის ქუჩის ასახვევის , მიმდებარედ (ნაკვეთი 48/003);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ღოღობერიძე პ/ნ 01017018775
- თბილისი ბესიკის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს ავლაბარი ჰოთელს
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405334598
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნინო ღოღობერიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017018775

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 5174276
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 5.11.2020

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. გაიცეს ქ. თბილისში, სექტორი ისანი, II დოლაბაურის ხევი , N 35 ; ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე , წერნაკის ქუჩის ასახვევის , მიმდებარედ (ნაკვეთი 48/003), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N 01.17.13.048.186), სასტუმროს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 18 დეკემბრიდან 2022 წლის18 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

3. მშენებლობის ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:

I რიგის სამუშაოები

1) -სამშენებლო კომპანიის ბაზირება, - კონტეინერის ტიპის ჯიხურების მოწყობა, - დროებითი სამშენებლო ღობის საინჟინრო ქსელის მოწყობა, - ტერიტორიაზე არსებული ერთსართულიანი ამორტიზებული შენობის დაშლა ნაწილობრივ ხელით და მექანიზაციით, - სამშენებლო ნაგვის გატანა ;

2) მიწის სამუშაოები არსებული გრუნტის ცვლილებისათვის საპროექტო ნიშნულების გათვალისწინებით;

3) ობიექტების სამშენებლო ღერძების დაკვალვა ტერიტორიაზე გრუნტის
ცვლილების შემდეგ.;

II რიგის სამუშაოები:

4) მიწის სამუშაოები, გვაბულის ამოღება ბლოკი 1 და 2;

5) რკინა-ბეტონის ფილა-საძირკვლის მოწყობის სამუშაოები ბლოკი 1 და 2;

6) გარე კედლების მოწყობა ბლოკი 1 და 2;
7) სახურავების მოწყობა ბლოკი 1 და 2;
8) ტიხრების მოწყობა ბლოკი 1 და 2;
9) იატაკების ქვ. ცემ. მოჭიმვა. ბლოკი 1 და 2;
10) შიდა კომუნიკაციების მოწყობა ბლოკი 1 და 2;

11) შიდა კედლების და ტიხრების ლესვა ბლოკი 1 და 2;
12) შიდა და გარე კარფანჯრის მოწყობა ბლოკი 1 და 2;
13) შიდა კედლების და იატაკების სამღებრო სამუშაოები ბლოკი 1 და 2;
14) ლიფტების მოწყობა ბლოკი 1 და 2;
15)ფასადის მოპირკეთება ბლოკი 1 და 2;
16) გარე საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობა და ტერიტორიის მოპირკეთება;
17) სამშენებლო ნარჩენების გატანა და ობიექტის დემობილიზაცია;

გაითვალისწინეთ: სანებართვო პირობებით გათვალისწინებული მშენებლობის ეტაპის დასრულებამდე 10 დღით ადრე ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ.

4. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება, საპროექტო შენობის ვიზუალიზაციით და შესაბამისი რეკვიზიტებით.

5. ტერიტორიაზე მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში საპროექტო ობიექტის მშენებლობის საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრესთან.

6. მშენებლობის წარმოებისას დაცული იქნას ტერიტორიაზე არსებული ხე–ნარგავები, ხის მოჭრის ან გადარგვის საჭიროების შემთხვევაში საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან.

7. სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 09/06/2020 წ. MIA 0 20 01260905 წერილის შესაბამისად, დამკვეთის მიერ უზრუნველყოფილ იქნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობა და მათი დაპროექტების დოკუმენტაციის სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში სამი თვის ვადაში წარდგენა, მათ შორის:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს;
დ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციისა და დაწნევის სისტემების მოწყობის პროექტს;
ე) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტს;
ვ)შენობის ხანძრის შესახებ მაუწყებლობის, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების და ავარიული განათებების მოწყობის პროექტს;
ზ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტს;
თ) შენობის ელექტროდანადგარების და მეხდაცვის სისტემის მოწყობის პროექტს

.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.